ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1119000

ნომერი: AR1195968

თარიღი : 08.02.2014

გაცემის თარიღი : 11.02.2014

გაცნობის თარიღი : 11.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მექანიზაცია , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიხარულიძე პ/ნ 01024024502
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ დროებითი ღობის მოწყობის ნებართვას . საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია N 01.12.12.002.039, 2013 წლის 25 დეკემბერს სამსახურის მიერ №1058719 ბრძანებით შეთანხმდა სს. "ავტოშემკეთებელი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #002.039) მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და ამავე ბრძანების მე–4 პუნქტით დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და შემდეგი დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით: მათ შორის: 4.4 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად (შესაბამისი გენ– გეგმის ნახაზით რომელზეც იქნება დატანილი საპროექტო ღობე), აღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან ღობე ეწყობა მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო ფუნქციური დანიშნულებით, დროებითი სტატუსით, მშენებლობის დასრულებამდე აღნიშნული დამატებითი ნებართვის გაცემას არ საჭიროებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.